ო ქ მ ი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 27 აპრილი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს უთანასწორო ბრძოლაში და გამარჯვება უსურვა მათ.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

5. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლში, სადაც ეწერა, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზედა ზღვარი

განისაზღვრებოდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რაც არასწორად მიაჩნია, რადგან ბევრ სხვა მუნიციპალიტეტში ბევრად მეტი იყო თანხა და განისაზღვრებოდა 750-დან 850-მდე. საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს 15%-ის ოდენობით თუ განისაზღვრებოდა, მაშინ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე შესაძლებელი იყო გაცემულიყო იქნებოდა 750 ლარი და არა 500 ლარი.

ლ. ქავთარაძე - სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა; რაც შეეხებოდა შეცდომას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მე-4 მუხლში 500 ლარი არ უნდა ეწეროს და უნდა ეწეროს 750 ლარი, ეს არასწორი განმარტება იყო მ. იოსავას მხრიდან და გაწეული ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 500 ლარის ოდენობით, რომელიც 350 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა, არსებული ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში.

საკრებულოს წევრის რეპლიკებიდან გამომდინარე, სხდომის თავმჯდომარემ მას მოუწოდა კორექტულობისკენ და სიმშვიდისკენ, რათა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვა გაგრძელებულიყო.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შეიცავს იმპერატიულ დანაწესს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო ნორმატიული აქტით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესს. კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ დანახარჯების ანაზღაურების წესი, რასაც საკრებულოს წევრი გაიღებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირდება ის გონივრული მატერიალური ხარჯი, რომლის გაწევაც საკრებულოს წევრს მოუხდა წარმომადგენლობით ორგანოში წევრობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას. შესაბამისად, დაუშვებელია საკრებულოს წევრს ასანაზღაურებელ ხარჯად ჩაეთვალოს და შეუფასდეს ის ვალდებულება, რომელიც მას კანონმდებლობით უსასყიდლოდ ეკისრება, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს. კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით

გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ", რომელის თანახმადაც საკრებულოს წევრს შესაძლებელია აუნაზღაურდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (საკრებულოს სხდომებზე დასწრება, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა, ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა, ანგარიშის საჯარო განხილვა) განხორციელებასთან დაკავშირებით გაღებული სხვადასხვა ხარჯი, რომელიც საკრებულოს წევრს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად აუნაზღაურდება. საკრებულოს წევრი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული სხვადასხვა ხარჯის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საკრებულოს აპარატის უფროს ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებთან და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად. დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ" სამართლებრივი კონსულტაციისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს, საიდანაც მიღებულ იქნა რეკომენდაციები რომელიც ასახულ იქნა წარმოდგენილ დადგენილების პროექტში. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 1 (მ. იოსავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ქარდავა, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ქ. ხობში სკვერის ტერიტორიაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, შესაძლებელია მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება და ამ მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის გაიჯარება იჯარა-აღნაგობის უფლებით 2 წლის ვადით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ქარდავა, ფ. წურწუმია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N11 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და განაცხადა, რო ეს იყო ბოლო 5 წლის განმავლობაში დაგროვილი ჩამოსაწერი ქონება, რომელსაც გააჩნია აუდიტორული დასკვნები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელი დაინტერესდა, რომ დანართში ყველაფერი ნულოვანი ღირებულებით რომ არის წარმოდგენილი, არცერთ ქონებას არა აქვს ნარჩენი ღირებულება?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ქონება, რომელიც ღირებული იყო ყველა დასაწყობებულია. ხოლო რაც შეეხებოდა ისეთ ნარჩენი ღირებულების გარეშე დარჩენილ ქონებას მათი ჩამოწერა ხორციელდება.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა შეითანხმა მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები, რომლის საფუძველზეც მომზადდა 2022 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული და ექსპლოატაციისთვის უვარგისი ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნუსხა, რომელიც სრულად არის ამორტიზირებული და მათი ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია, წარმოდგენილ პროექტს თან ერთვის აუდიტორული დასკვნები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტში შეტანილ იქნა გარკვეული კორექტირება, კერძოდ პროექტის დანართიდან ამოღებულ იქნა მოსარგებლის გრაფა, რადგან ყველა ქონებაზე არ იყო მითითებული მოსარგებლე, რადგან ისედაც დანართში

მითითებული ქონების მესაკუთრე არის მუნიციპალიტეტი. განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 1 (მ.იოსავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, კ. გერგაია, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N12 ოქმს თან ერთვის)

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: - მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ რეორგანიზაციის შედეგად ორი ა(ა)იპ-ი ფუძნდებოდა და დაინტერესდა, რამდენით გაიზრდებოდა მათი ბიუჯეტი და საშტატო ერთეული? მისი განცხადებით, კარგი იყო სპორტული კომპლექსი რომ გაკეთდა, რომლის რეაბილიტაცია სოლიდური თანხა დაჯდა, მაგრამ ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებს და საქართველოს ჩემპიონატებიც კი ვერ ჩატარდებოდა. მისი განცხადებით, წარმოდგენილ პროექტში, ა(ა)პი-ისთვის საჭირო ბიუჯეტი და საშტატო ერთეულიც რომ წარმოედგენილიყო კარგი იქნებოდა და კითხვებიც არავის გაუჩნდებოდა.

ზ. ბუკია - მერიას არ წარმოუდგენია პროექტი რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, თვითმმართველობა მიდის იმ მიმართულებით, რომ დაფუძნდეს ახალი იურიდიული პირი, განიხილებოდა თუ რა გზით წასულიყვნენ, იყო საუბარი რეორგანიზაციაზეც, ასევე

ახალი ა(ა)იპ-ის დაფუძნების ვერსიაზეც. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა არა მხოლოდ მერიაში, არამედ შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებთან, თვითმმართველობის ექსპერტებთან. უფრო სწორ მიმართულებად ჩაითვალა, რაც საკრებულოში არის წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა ეს პროცესი შეიცავს რეორგანიზაციის რაღაც ელემენტებს, მაგრამ ეს სრულყოფილი რეორგანიზაცია არ იყო, რადგან რეორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა არის იურიდიული პირის გაყოფა ან გამოყოფა. ამ შემთხვევაში ფუძნდება სპორტული მიმართულების იურიდიული პირი." - განაცხადა მან.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ქ. ხობში მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობის დასრულება იძლევა შესაძლებლობას, მეტი აქტივობითა და მასშტაბებით გაგრძელდეს სპორტული საქმიანობა მუნიციპალიტეტში, ასევე სრულად დაიტვირთოს ახალი სპორტული კომპლექსის ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს საშეჯიბრო/სამწვრთნელო დარბაზებს, სპეციალურ სივრცეებს სხვადასხვა სპორტული წრეებისა და სექციებისთვის, მათ შორის: ჭადრაკის, კრივის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ტაიკვანდოს, მკლავჭიდის და სხვა. ამასთანავე, ახალ სპორტულ ინფრასტრუქტურას ესაჭიროება სათანადო ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფა ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის პროცესში. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და ახალი მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის ექსპლუატაციის/მოვლა-შენახვის და შემდგომი გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დაიწყო სპორტის მიმართულებით მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შექმნისათვის აუცილებელი საორგანიზაციო საქმიანობა და სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, რისთვისაც პირველ ეტაპზე მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". საკრებულოს მხრიდან თანხმობის მიღების შემდგომ მერიაში მომზადდება წინადადებები ახალი იურიდიული პირისთვის აუცილებელი ფინანსური და მატერიალური რესურსების შესახებ. გამომსვლელის

განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 2 (მ.იოსავა, ჯ. ჯიშკარიანი)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ქარდავა, ფ. წურწუმია, ფ. კუკავა, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N13 ოქმს თან ერთვის)

5. სხვადასხვა

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას მიმართავს, არა როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, არამედ როგორც ქ. ხობის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი.

მოისმინეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებიდან დაწყებული რიგითი მოქალაქის ჩათვლით ყველა დაინტერესებულია მაქსიმალურად განვითარდეს მუნიციპალიტეტი, გაიზარდოს სამუშაო ადგილები, გაუმჯობესდეს თითოეული ადამიანის კეთილღეობა. გამოსვლის დასასრულს მიმართა მერიის წარმომადგენლებს დაიწყონ მუშაობა შესაბამის უწყებებთან, მდინარე ხობისწყლის მარცხენა სანაპიროზე, რკინიგზის ხიდიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალამდე ალტერნატიული (შემოვლითი) გზის მოწყობისა და ქალაქის ქუჩებზე არსებულ ობიექტებზე, ქუჩის სანიშნე აბრების მომზადებისა და განთავსების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ლევანი ლიპარტია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. დოდო გაბუნია
9. აკაკი მალანია
10. დიტო ხასია
11. ფრიდონი შონია
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. გურიელ ქარდავა
15. ბექა ხარბედია
16. გიორგი გვასალია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ჯანსუღი ჯიშკარიანი
22. მოგელი ხუხია
23. ფელიქსი წურწუმია
24. მაკა ჩარტია
25. ფრიდონი კუკავა
26. მალხაზ იოსავა